<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 1575 | გეოგრაფიული (გრძ

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 1 19 01182361

12/09/2019

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს დედაქალაქი - თბილისი ოცდამეერთე საუკუნის რიტმის შესაბამისად ვითარდება, ამავე დროს ინარჩუნებს რა ძველ და ტრადიციულ ნიშან-თვისებებს. ამიტომაცაა, ალბათ, რომ აქ ორგანულადაა შერწყმული წარსული, აწმყო და მომავალი. ასე და ამგვარად, ჩვენი თანამოქალაქეების მიერ თქვენი – ქალაქის მესვეურების - ხელდასმით იწერება თბილისის ისტორია.

განუზომელია საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობა ქვეყნის და დედაქალაქის მდიდარი წარსულისა და ღირსეული მომავლის წინაშე. ჩვენი დღევანდელი პრიორიტეტები ხომ მორალური ორიენტირი უნდა იყოს და იქნება მომავალი თაობებისათვის.

თბილისის საკრებულოს მნიშვნელოვან კომპეტენციათა რიგს, მრავალ სხვა საშურ საქმესთან ერთად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის სახელდება განეკუთვნება. და ამ მხრივ საკრებულო დიდი სამოქალაქო და ისტორიული მნიშვნელობის სამუშაოს ასრულებს.

ზემოაღნიშნულთან მიმართებით, ჩვენს ქვეყანაში საუკუნოვანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ტრადიციული კერის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა – მედიკოსთა, სტომატოლოგთა, ფარმაცევტთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფიზიკური მედიცინის სფეროთა წარმომადგენლების – მრავალათასიანი არმიის, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრების გათვალისწინებით, ნება მომეცით, მოგახსენოთ შემდეგი:

0186. საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33; 33, Vazha- Pshavela Ave. 0186 Tbilisi, Georgia. ტელ / Tel: (+995 32) 254-24-24; 254-24-50;
ელ.ფოსტა/ E-mail: iad@tsmu.edu ; iad.tsmu@gmail.com ; ვებ-გვერდი / URL: www.tsmu.edu

საქართველოში ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებების და კლინიკური მედიცინის განვითარების გრძელ და რთულ გზაზე იყვნენ ადამიანები, ვინც საქმით, გულით, გონებით, წარსულით და აწმყოთი საქართველოს ემსახურებოდნენ. ფაქტობრივად, ასეთმა ბურჯმა-ადამიანებმა შექმნეს და ქმნიან ქართული მედიცინას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს პატივი, რომ ამ ფრიად საპატივცემული და სამაგალითო ადამიანების დიდი ნაწილი უნივერსიტეტის შექმნისა და განვითარების სამსახურში ბრძანდებოდნენ. მათ შორის, უდავოდ, სრულიად გამორჩეულია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას - ეპოქური ადამიანი, ქართული მედიცინის და უმაღლესი სამედიცინო განათლების პატრიარქი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1964), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1973), ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიის მფლობელი (1962), ღირსების ორდენის კავალერი (1997), თბილისის საპატიო მოქალაქე (2002), წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) სამკურნალო (ამჟამად - მედიცინის) ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს რესპუბლიკის I მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, პროფესორი **თამარ დეკანოსიძე.**

ქალბატონი თამარ დეკანოსიძის (1922–2008) ცხოვრების და სამაგალითო პროფესიული ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები მოკლედ შეიძლება ასე აღიწეროს:

– დაიბადა 1922 წლის 3 ნოემბერს, დაბა ხარაგაულში,

– 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი,

– 1943 -1969 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი,

– 1969 – 1973 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე,

– 1973-1996 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე,

– 1980–2000 წწ. - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგანატომი,

– 1984-1999 წწ. - საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

თამარ დეკანოსიძე მონაწილეობდა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში და, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ამ ტრაგიკული ფურცლის მართებულად აღწერის და შეფასების საშვილიშვილო საქმეში.

თამარ დეკანოსიძის სამეცნიერო შრომები ეხება საქართველოში სექციური მასალის ანალიზს ნოზოლოგიური პროფილის დადგენის მიზნით, ნერვულქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლოგიური ზრდის პირობებში, გეროგენული ცვლილებების მორფოლოგიური საფუძვლებს, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების შეფასების აუცილებლობას სინერგეტიკის პოზიციებიდან.

ქალბატონი თამარი ასეულობით სამეცნიერო ნაშრომის და 6 მონოგრაფიის ავტორია; მონოგრაფიისთვის „შეგუებისა და კომპენსაციური პროცესების მორფოფუნქციური საფუძვლები“ მას 1962 წელს ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის სახელს უკავშირდება საქართველოში პათოლოგანატომიური სამსახურის (1968),

ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის სწავლების (1969), პათოლოგიური ანატომიის სწავლების რეორგანიზაცია (1973). ამიტომაც, სრულიად ლოგიკური იყო, რომ მას 1999 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო მასწავლებლის პრემია მიენიჭა.

ბატონო გიორგი,
გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთქმული და განიხილოთ **ქალაქ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების საკითხი.**
წინასწარ მოგახსენებთ მადლობას.

პატივისცემით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

კანცლერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01223612525**
თარიღი: **27/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 08.12.2022 წლის #03-032234254 (08.12.2022წ. #14-01223423032-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თამარ დეკანოსიძე

(1922-2008)

პროფესორი,პათოლოგ-ანატომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე., თბილისის საპატიო მოქალაქე , ღირსების ორდენის კავალერი.

1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ; 1943-1969 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, 1969-1973 წლებში ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე; 1973-1996 წლებში პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე; 1943-1990 წლებში მუშაობდა თბილისის სხვადასხვა დაწესებულებების პროზექტორად. 1980-2000 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგ-ანატომი, 1984-1999 წლებში საქართველოს პათოლოგ-ანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე. მონაწილეობდა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში. მისი სამეცნიერო შრომები ეხება საქართველოში სექციური მასალის ანალიზს ნოზოლოგიური პროფილის დადგენის მიზნით, ნერვულქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლოგიური ზრდის პირობებში გეროგენული ცვლილებების მორფოლოგიურ საფუძვლებს, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების შეფასების აუცილებლობას სინერგეტიკის პოზიციებიდან .

ავტორია 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია, მათ შორის „შეგუებისა და კომპენსაციური პროცესების მორფო-ფუნქციური საფუძვლები“, რომელშიც მიენიჭა ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია 1962

წელს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 187 საკანდიდატო და 72 სადოქტორო დისერტაცია. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს და წევრი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ღირსების ორდენი 1997 წელს. 2002 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.